საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-858

ქ. თბილისი

11/06/2021

„შპს „ნიუ პროდი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 დეკემბრის №ი-303 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

2021 წლის 23 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ნიუ პროდის“ დირექტორმა და ითხოვა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება. 2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ნიუ პროდის“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა №42 (28.11.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. განცხადების თანახმად, კომპანია აღარ ფუნქციონირებს შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს 2012 წლის №42 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ნიუ პროდის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ნიუ პროდი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 დეკემბრის №ი-303 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნიუ პროდს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიუ პროდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი